ხელშეკრულება №12

(CVP:92312212 - სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში-,,ლიცენზიატი“), წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით,

და

მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელი შპს "გამომცემლობა მერიდიანი" (შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გიგინეიშვილის (პირადი N01023006925) სახით (ერთობლივად „მხარეები"),

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანების 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2017 წლის 05 აპრილს გაფორმებული №01 ლიცენზიის ხელშეკრულების ფარგლებში 2018 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული N01-2 შეთანხმების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელისათვის, ლიცენზიატის მიერ ჰონორარის სახით გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10%-ის გადახდა.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის ოდენობა შეადგენს 9,050.90 (ცხრა ათას ორმოცდაათი ლარი და 90 თეთრი) ლარს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს ლიცენზიატს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის გადახდა საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

ბ) მოსთხოვოს ლიცენზიატს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2. ლიცენზიატი ვალდებულია:

ა) საავტორო უფლების მფლობელს, საავტორო ჰონორარის სახით გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისი ღირებულების 10%.

ბ) დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და პირობები.

3. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო უფლების მფლობელის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საავტორო ჰონორარი მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ან მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადავადდება აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

მუხლი 6. დამატებითი პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

მუხლი 7. რეკვიზიტები

ლიცენზიატი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მის.: ქ.თბილისი, მ.ალექსიძის ქ.№2
ს/კ 202294980

დირექტორი

საავტორო უფლების მფლობელი

შპს „გამომცემლობა მერიდიანი"
მის:სანზონა,
კორ. №10ა
ს/კ 200004850 ბანკი: სს „ვითიბი ბანკი"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. GE69VT6600000017467452

დირექტორი